



**თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**დადგენილება № 5**

„11“ აგვისტო 2014 წ.

ქ. თელავი

**თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ  
საქმეთა სამსახურის დებულებების დამტკიცების შესახებ**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტის და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანდართული დებულება.
2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება

**მუხლი 1. კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური**

1. თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (შემდგომში „სამსახური“) არის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
2. ეს დებულება განსაზღვრავს გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დანიშნულებას, მართვის ორგანიზებას, ამოცანებს და უფლება - მოვალეობებს.
3. სამსახური თავის საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, „კულტურის შესახებ“ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.
4. სამსახურის სამტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. სამსახური ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ უფლებებს და მოვალეობებს.

**მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები და ამოცანები**

- ა) მუნიციპალიტეტის მასობრივი კულტურული ღონისძიებების წლიური გეგმების შემუშავება;
- ბ) კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გამოვლენა, აღრიცხვა და მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- გ) საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული ღონისძიებების ჩატარება;
- დ) კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;
- ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და საგანმანათლებლო - საადმინისტრაციო პროცესის ხელშეწყობა.
- ვ) უზრუნველყოფს მოსახლეობის სპორტული გამაჯანსაღებელი პროგრამების შემუშავებას და ხელი შეუწყოს მისი შესრულებას;
- ზ) შეიმუშაოს მუნიციპალიტეტის მასობრივი სპორტული ღონისძიებების წლიური გეგმები;
- თ) კოორდინაცია გაუწიოს საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარებას;
- ი) ხელი შეუწყოს სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;
- კ) ორგანიზებას უწევს სპორტულ ღონისძიებებს;
- ლ) პოპულარიზაციას უწევს შემოქმედებით ჯგუფებს;
- მ) შეიმუშავებს სპორტული ღონისძიებების წლიურ პროგრამებს;
- ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 3. სამსახურის მართვა - ორგანიზება**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი.

2. გამგეობის დებულების შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს.

3. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია დაკისრებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებაზე;

ბ) წარუდგენს გამგებელს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინალური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

გ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

დ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

4. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

#### **მუხლი 4. სამსახურის მოსამსახურე**

1. სამსახურის მოსამსახურეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს გამგებელი.

2. მოსამსახურე პასუხისმგებელია გამგებლის, სამსახურის უფროსის წინაშე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე;

3. მოსამსახურე უზრუნველყოფს გამგებლის, სამსახურის უფროსის, აგრეთვე თვითმმართველობის სამართლებრივი აქტებით დაკისრებული უფლება – მოვალეობების შესრულებას.

#### **მუხლი 5. სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის წესი**

1. სამსახურის დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თვითმმართველი თემის - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი